საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #20

24 დეკემბერი 11.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, მ.ამაშუკელი,
ი. ჯიშკარიანი, ჯ.ჯიშკარიანი, ფ.ინჯია,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, უფროსის მოადგილე ნინო მაღრაძე.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლ;ია

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (# 12-0318355197-03 21.12.2018)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაიამ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ პროექტი, კონკრეტულად ეკონომიკური განვითარების სამსახურის პროექტები.

2019 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსებულია 2147,0 ათ.ლარით. მათ შორის:

ბიზნესის სტიმულირება - დაფინანსდება 892,0 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორი, რომლის საშუალებითაც ბენეფიციარებისათვის (სავარაუდოდ 120 მეწარმე) შეიქმნება ბიზნეს-გეგმები 8 პრიორიტეტული სფეროს შესაბამისად.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - დაფინანსდება 50,0 ათასი ლარით; თბილისის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების წარმოსაჩენად დაინტერესებულ პირთათვის დამზადდება და მიეწოდება საინფორმაციო-საინვესტიციო კატალოგები და ტურისტული ბროშურები.

თბილისი საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 455,0 ათასი ლარით; პროგრამა ითავლისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზებას, ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელის საწევროს გადახდას, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-12 საერთაშორისო ფორუმის ორგანიზებასა და გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობას;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა – 515,0 ათასი ლარით; პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნა; თბილისის ტურისტული პოტენციალის შესწავლა, მ.შ ეკო-ტურისტული მარშრუტების შესწავლა, თბილისის გარშემო და საბავშვო-საოჯახო ტიპის საკემპინგე ადგილების მოწყობა; ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა (ინფოტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია – 185,0 ათასი ლარით;

პროგრამა გამიზნულია დედაქალაქის საინვესტიციო პროექტების შექმნის კვლევებისათვის.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება – 50,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. თბილისის შესახებ ვირტუალური რეალობის აპლიკაციისა და 360 გრადუსიანი ხედვის/გამოსახულების მქონე ვიდეო რგოლების შექმნის/ადაპტაციის და Oculus პლატფორმაზე გამოქვეყნებასთან დაკავშირებული მომსახურება.

აღნიშნა, რომ მომავალ წელს დედაქლაქს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი ემატება, განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორის შექმნა. თბილისს ტურიზმის მიმართულებით თვითონ ექნება პოლიტიკის განსაზღვრის საშუალება, დაიწყება მუშაობა მსხვილ საინვესტიციო პროექტებსა და ეკონომიკური განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავებაზე, რომელსაც გრძელვადიანი მდგრადობა ექნება.

აზრი გამოთქვეს:

ლ.დარახველიძემ, მ.ამაშუკელმა, ი.ჯიშკარიანმა, ქ.ჯოხაძემ.

საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებმა ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა დასმულ შეკითხვას.

დაადგინეს:

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ პროექტი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ დადებითად იქნა შეფასებული და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

ო.გრიგოლიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ო.გრიგოლია